ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სამართლის ფაკულტეტსა
და შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ
ფაკულტეტს“ შორის

თბილისი 2017

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი 5 09 2017

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სამართლის ფაკულტეტი, წარმოდგენილი მისი დეკანის ეკატერინე ბაკარაძის სახით, ერთი მხრივ, და შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარული ფაკულტეტი, წარმოდგენილი მისი დეკანის მაკა კაჭარავას სახით, მეორე მხრივ (შემდგომში მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე, შემდეგი პირობებით:

1.მემორანდუმის საგანი

1.1 მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისთვის მხარეებსშორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2.მემორანდუმის მიზანი

2.1. მხარეების მიზანია საქართველოს შრომის ბაზრის, მათ შორის საჯარო სექტორის სპეციფიკური მოთხოვნების ადეკვატური, ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელშეწყობა და გაძლიერება.

2.2. მხარეები მიზნად ისახავენ ამ მემორანდუმის ფარგლებში განახორციელონ ერთობლივი პროექტები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის საკითხს და პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროფესიულ მომზადებას, კერძოდ, თჰუ უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამის და შზსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების გზით მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადების პროცესში ურთიერთხელშეწყობა, საერთაშორისო სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციების, ტრენინგების ორგანიზება, ჩატარება, მთარგმნელობითი და სათარჯიმნო სამუშაოს შესრულებაში ხელის შეწყობა.

2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა, ერთი მხრივ, უნივერსიტეტების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციურ დამსაქმებელთა სწავლა/სწავლების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

3.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პროგრამების, პროექტებისა და ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, გადაწყდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების ფორმით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2. უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლისას „მხარეები" უფლებამოსილნი არიან სასწავლო წლის დასაწყისისთვის დაადგინონ პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების კვოტა, აგრეთვე ჩაატარონ შესარჩევი კონკურსი, საუკეთესო სტუდენტთა გამოსავლენად; პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად „მხარეები" გამოყოფენ მენტორს, რომელიც ზედამხედველობს პრაქტიკის ობიექტში ადგილზე სტუდენტის საქმიანობას, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელთან კოორდინირებულად.

3.3. ერთობლივ პროექტებში და პროგრამებში „მხარეების" სტუდენტთა ჩართვა ხორციელდება ორივე მხარის მიერ დადგენილი წესით; ამ შემთხვევაში „მხარეები" ატყობინებენ ერთმანეთს ასეთი პროექტის/ პროგრამის განხორციელების დაწყებისა და პირობების თაობაზე.

4.მემორანდუმის მოქმედების ვადა და დასკვნითი დებულებები

4.1.წინამდებარე მემორანდუმი შედის ძალაში მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან მოქმედების განუსაზღვრელი ვადით.

4.2.წინამდებარე მემორანდუმის შეცვლა, მოდიფიცირება ან შეწყვეტა ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.3. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ ახდენს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე;

4.4. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად.

მხარეთა რეკვიზიტები

შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი"

მაკა კაჭარავა

ჰუმანიტარული ფაკულტეტის

დეკანი

მის: საქართველო ქ. თბილისი, 0113

ბერი გაბრიელ სალოსის გამზ№31

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი"

ეკატერინე ბაკურაძე

სამართლის ფაკულტეტის

დეკანი

მის. საქართველო, 0131, თბილისი,

აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, №2